



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
სხდომის ოქმი №89

თბილისი

29.10.2016

15⁰⁰ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე – თამარ ჟვანია.

სხდომას ესწრებოდნენ: გიორგი შარაბიძე, გიორგი ჯავახიშვილი, დავით გურგენიძე, ემზარ კაკულია, ლევან მაისურაძე, გიორგი ჭიქაბერიძე, ირაკლი ხორბალაძე, ზურაბ ხრიკაძე, დიმიტრი ჯავახაძე.

არ ესწრებოდნენ ლილი აბუთიძე, მარინა წულუკიძე, ირაკლი ჭყოიძე.

აგრეთვე ესწრებოდნენ: მოქალაქეები - ნანა კაკიტაძე და ნინო კაკიტაძე; რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტის „ჩვენი საქართველო“ (ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბი) წარმომადგენელი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში – ლევან კაპანაძე; რეგისტრირებული საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციის „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის“ (NDI) დამკვირვებელი - ნატაშა როთჩაილდი, მარიამ ციციშვილი (თარჯიმანი); რეგისტრირებული საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციის „ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის“ (OSCE/ODIHR) დამკვირვებელი - ვანია პეტროვა ანგელოვა, თამარ ალექსიძე (თარჯიმანი).

მოისმინეს: ცესკოს თავმჯდომარემ, თამარ ჟვანიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. განკარგულება

„2016 წლის 30 ოქტომბრის არჩევნებისათვის საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების დანიშვნისა და მათი უფლებამოსილების განსაზღვრის თაობაზე“ ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2016 წლის 28 ოქტომბრის №543/2016 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

2. განკარგულება

მოქალაქეების - ნანა და ნინო კაკიტაძეების 2016 წლის 28 ოქტომბრის საჩივრების (ცესკოში რეგისტრაციის №6663 და №6664) შესახებ

3. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვას: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, თამარ ჟვანიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების თაობაზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 10

წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 10 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დღის წესრიგი:

1. განკარგულება

„2016 წლის 30 ოქტომბრის არჩევნებისათვის საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების დანიშვნისა და მათი უფლებამოსილების განსაზღვრის თაობაზე“ ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2016 წლის 28 ოქტომბრის №543/2016 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

2. განკარგულება

მოქალაქეების - ნანა და ნინო კაკიტაძეების 2016 წლის 28 ოქტომბრის საჩივრების (ცესკოში რეგისტრაციის №6663 და №6664) შესახებ

3. სხვადასხვა.

1. განკარგულება

„2016 წლის 30 ოქტომბრის არჩევნებისათვის საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების დანიშვნისა და მათი უფლებამოსილების განსაზღვრის თაობაზე“ ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2016 წლის 28 ოქტომბრის №543/2016 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ, თამარ ჟვანიაძემ, კომისიის წევრებს გააცნო „2016 წლის 30 ოქტომბრის არჩევნებისათვის საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების დანიშვნისა და მათი უფლებამოსილების განსაზღვრის თაობაზე“ ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2016 წლის 28 ოქტომბრის №543/2016 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, განკარგულების პროექტი.

თამარ ჟვანიამ კომისიას შესთავაზა წარმოდგენილი განკარგულების პროექტის დანართში სსიპ „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის“ ტრენერის ეკა ტაბატაძის დამატების შესახებ წინადადება.

აზრი გამოთქვას: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, თამარ ჟვანიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „2016 წლის 30 ოქტომბრის არჩევნებისათვის საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების დანიშვნისა და მათი უფლებამოსილების განსაზღვრის თაობაზე“ ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2016 წლის 28 ოქტომბრის №543/2016 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ, ერთი წარმომადგენლის დამატების გათვალისწინებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 8

წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 10 წევრი)

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ორმა წევრმა კენჭისყრაში მონაწილეობისგან თავი შეიკავა.

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. „2016 წლის 30 ოქტომბრის არჩევნებისათვის საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების დანიშვნისა და მათი უფლებამოსილების განსაზღვრის თაობაზე“ ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2016 წლის 28 ოქტომბრის №543/2016 განკარგულების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართით განსაზღვრულ წარმომადგენელთა სიას დაემატოს „199“-ე, მე-„200“ და „201“-ე გრაფები შემდეგი რედაქციით:

199	რევაზ ეგაძე	საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი
200	ნაზიკო შევარდნაძე	№7 ჩულურეთის საოლქო საარჩევნო კომისია
201	ეკა ტაბატაძე	საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

(თან ერთვის)

2. განკარგულება

მოქალაქეების - ნანა და ნინო კაკიტაძეების 2016 წლის 28 ოქტომბრის საჩივრების (ცესკოში რეგისტრაციის №6663 და №6664) შესახებ

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ, თამარ ჟვანიამ, კომისიას გააცნო მიმდინარე წლის 28 ოქტომბერს, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, მოქალაქეების - ნანა და ნინო კაკიტაძეების მიერ წარმოდგენილი საჩივრების შინაარსი, რომლებითაც მოთხოვნილია №3 საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიის 2016 წლის 27 ოქტომბრის №87/2016 განკარგულების გაუქმება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებად ნინო არდაზიანისა და მანანა სიდამონიძის არჩევის ნაწილში და საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მომჩივნების არჩევის საკითხის განხილვა.

თამარ ჟვანიას განცხადებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოქალაქეები: ნანა და ნინო კაკიტაძეები წარმოდგენენ არაუფლებამოსილ პირებს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა არჩევის შესახებ №3 საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების ნაწილში, რაც მითითებული საჩივრების განუხილველად დატოვების საფუძველია.

ცესკოს თავმჯდომარის განმარტებით, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, კომისია ვერ შევა წარმოდგენილი საჩივრების არსებით და შინაარსობრივ განხილვაში, ვინაიდან დარღვეულია საჩივრების ადმინისტრაციულ ორგანოში წარმოდგენის წესი.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, თამარ ჟვანიამ, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, მოქალაქეებს ნანა კაკიტაძესა და ნინო კაკიტაძეს შესთავაზა წარმოდგენილი საჩივრების განუხილველად დატოვების საკითხზე პოზიციის დაფიქსირება.

აზრი გამოთქვას: ნანა კაკიტაძემ, ნინო კაკიტაძემ, თამარ ჟვანიამ, არჩილ ანასაშვილმა, ზურაბ ხრიკაძემ, ირაკლი ხორბალაძემ.

მოქალაქე ნანა კაკიტაძემ ისაუბრა თავის საარჩევნო გამოცდილებაზე და საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატზე, როგორც საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვისას უპირატეს საშუალებაზე, რომელიც მას გააჩნია. ნანა კაკიტაძის განცხადებით, საარჩევნო გამოცდილება და საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი არ იქნა გათვალისწინებული საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა არჩევის გადაწყვეტილების მიღებისას. დებმა საოლქო საარჩევნო კომისიისგანაც ვერ მიიღეს პასუხი იმის შესახებ, თუ რატომ არ იყო მათი კანდიდატურა მხარდაჭერილი.

ნანა კაკიტაძის განცხადებით, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების არჩევის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობის დაზუსტებისას საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებმა არ უთხრეს რომ აღნიშნული განკარგულება საჩივრდებოდა.

ნანა კაკიტაძემ ასევე ისაუბრა, მის მიმართ პ/გ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წარმომადგენლის აგრესიულ დამოკიდებულებაზეც.

მოქალაქე ნინო კაკიტაძემ ისაუბრა საარჩევნო ოლქში სატელეფონო საუბრის შესახებ - თუ ვინ უნდა მოხვედრილიყო საუბნო საარჩევნო კომისიაში. ნინო კაკიტაძემ აღნიშნა, რომ მას საოლქო საარჩევნო კომისიის მხარდაჭერის იმედი ჰქონდა, რადგან საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი გააჩნდა.

ნინო კაკიტაძის განცხადებით, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების არჩევის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობის დაინტერესებისას მათ საარჩევნო ოლქში განუცხადეს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება არ საჩივრდებოდა და მხოლოდ ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრში დარეკვისას განემარტათ, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ.

ცესკოს თავმჯდომარის, თამარ ჟვანიას განცხადებით, საჩივრის ჩაბარებაზე მოქალაქეებს ცენტრალური საარჩევნო კომისია უარს არ ეტყოდა. მისი აზრით, საოლქო საარჩევნო კომისიის განმარტება დაკავშირებული იყო არა ზოგადად საჩივრის ადმინისტრაციულ ორგანოში შეტანის საკითხთან, არამედ საჩივრის წარმდგენ პირთა უფლებამოსილებასთან, ვინაიდან საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ თანახმად, მოქალაქეები/საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატები არ წარმოადგენენ უფლებამოსილ პირებს და არ განეკუთვნებიან იმ პირთა წრეს, ვისაც უფლება აქვს გასაჩივროს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის არჩევის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

ცესკოს თავმჯდომარის განცხადებით, საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის არჩევის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება გააჩნია საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიის/საარჩევნო ბლოკის/ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში, დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციასა და შესაბამისი საოლქო ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს.

რაც შეეხება საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატს, თამარ ჟვანიას განცხადებით, საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის ქონა არ წარმოადგენს საკანონმდებლო ვალდებულებას საუბნო საარჩევნო კომისიის წევრისთვის. ამდენად, საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი არ არის სავალდებულოდ გასათვალისწინებელი დოკუმენტი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის არჩევისას.

თამარ ჟვანიას განცხადებით, ცენტრალური საარჩევნო კომისია ვერ იმსჯელებს საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მიღებულ კანონშესაბამის გადაწყვეტილებაზე, ერთის მხრივ, იქიდან გამომდინარე, რომ ის არის კოლეგიური ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ხოლო მეორეს მხრივ, გადაწყვეტილება გასაჩივრებულია არაუფლებამოსილი პირების მიერ.

თამარ ჟვანიამ აღნიშნა ისიც, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა არჩევისას დებმა ნანა და ნინო კაკიტაძეებმა მიიღეს მხოლოდ 2 ხმა, ხოლო არჩეულმა წევრებმა - 9 ხმა.

თამარ ჟვანიამ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსს, არჩილ ანასაშვილს, წარმოდგენილი საჩივრების განუხილველად დატოვების სამართლებრივი საფუძვლების კომისიისათვის გაცნობა სთხოვა.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის, არჩილ ანასაშვილის განცხადებით, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 78-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის არჩევის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება გააჩნია საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიის/საარჩევნო ბლოკის/ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში, დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციასა და შესაბამისი საოლქო ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 77-ე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად კი აღნიშნულ დავაზე, კანონმდებლობით განსაზღვრული პირების გარდა სხვა პირთა მიერ საარჩევნო კომისიაში შეტანილი განცხადება/საჩივარი განუხილველი რჩება.

ცესკოს წევრის, ზურაბ ხრიკაძის განცხადებით, ვინაიდან ნანა და ნინო კაკიტაძეებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში საჩივრები ცალ-ცალკე, როგორც დამოუკიდებელ ფიზიკურ პირებს აქვთ წარმოდგენილი, უმჯობესია, განკარგულების პროექტშიც ასევე აღინიშნოს - ნანა კაკიტაძისა და ნინო კაკიტაძის საჩივრების შესახებ.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრის, ირაკლი ხორბალაძის განცხადებით, ვინაიდან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევ კონკურსში საკმაოდ ბევრი ადამიანი იღებს მონაწილეობას, შესაძლოა სწორედ აქედან გამომდინარე მიიჩნია კანონმდებელმა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის არჩევის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების მოქალაქეების მიერ გასაჩივრების შეუძლებლობა.

ირაკლი ხორბალაძის განცხადებით, კონკურსანტთა მიერ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის არჩევის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებით საარჩევნო ადმინისტრაციამ შესაძლოა სრულიად დაუსრულებელი პროცესი მიიღოს.

ნანა კაკიტაძემ დიდი პატივისცემა გამოხატა ცესკოს თავმჯდომარის, თამარ ჟვანიას მიმართ და აღნიშნა, რომ მისთვის ყველაფერი ნათლად იყო განმარტებული ცესკოს თავმჯდომარის მიერ. ნანა კაკიტაძემ გულისტკივილი გამოხატა საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებად მათი არარჩევის გამო და უსამართლობის განცდაზე ისაუბრა.

სხდომის თავმჯდომარის, თამარ ჟვანიას განმარტებით, ცენტრალური საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა არჩევის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შინაარსობრივ განხილვაში ვერ შევა, ვინაიდან საოლქო საარჩევნო კომისიის გადასაწყვეტია, თუ ვის აირჩევს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად.

თამარ ჟვანიას განცხადებით, საოლქო საარჩევნო კომისიის თითოეული წევრი, ისევე, როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიის თითოეული წევრი, ინდივიდუალურად, დამოუკიდებლად იღებს კომისიის წევრის არჩევის შესახებ გადაწყვეტილებას.

ცესკოს თავმჯდომარის განცხადებით, გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაშია სადაო, თუ ის ეწინააღმდეგება კანონს. სამომავლოდ შესაძლებელია აღნიშნული საკითხი კანონმდებლობით სხვაგვარად იყოს რეგულირებული, თუმცა, დღეს მოქმედი კანონმდებლობით საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის ქონის ვალდებულება არ გააჩნია. ამდენად, ცენტრალური საარჩევნო კომისია, სამართლებრივად, სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას მოკლებულია.

თამარ ჟვანიას განცხადებით, მისთვის გასაგებია კონკურსში მონაწილეთა გულისტკივილი, თუმცა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად განუხილველი უნდა დარჩეს მოქალაქეების - ნანა კაკიტაძისა და ნინო კაკიტაძის საჩივრები არაუფლებამოსილი პირების მიერ მათი გასაჩივრების გამო.

სხდომის თავმჯდომარემ, თამარ ჟვანიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „მოქალაქეების - ნანა და ნინო კაკიტაძეების 2016 წლის 28 ოქტომბრის საჩივრების (ცესკოში რეგისტრაციის №6663 და №6664) შესახებ“, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ, სხდომაზე გამოთქმული ტექნიკური ცვლილების გათვალისწინებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 8

წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 10 წევრი)

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ორმა წევრმა კენჭისყრაში მონაწილეობისგან თავი შეიკავა.

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, მიმდინარე წლის 28 ოქტომბერს, შემოვიდა მოქალაქეების - ნანა კაკიტაძისა და ნინო კაკიტაძის 2016 წლის 28 ოქტომბრის საჩივრები. (ცესკოში რეგისტრაციის №6663 და №6664).

საჩივრებიდან ირკვევა, რომ მომჩივნები ითხოვენ №3 საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიის 2016 წლის 27 ოქტომბრის №87/2016 განკარგულების გაუქმებას საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებად ნინო არდაზიანისა და მანანა სიდამონიძის არჩევის ნაწილში და საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მომჩივნების არჩევის საკითხის განხილვას.

წარმოდგენილი საჩივრების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მოქალაქეების - ნანა და ნინო კაკიტაძეების საჩივრები უნდა დარჩეს განუხილველი შემდეგი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გამო:

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 78-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის/არჩევის გამო სარჩელის სასამართლოში შეტანის უფლება ამ კანონით დადგენილ ვადაში აქვს საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიის/საარჩევნო ბლოკის/ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში, დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას, შესაბამისი საოლქო ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს. შესაბამისად, კანონის აღნიშნული ჩანაწერი ცალსახად განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, ვისაც უფლება აქვს გაასაჩივროს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის არჩევის/დანიშვნის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება. მითითებულ პირთა წრეში არ ფიგურირებს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატი.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 77-ე მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებისა და საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის გასაჩივრების ვადა და წესი, განცხადების/სარჩელის/საჩივრის

განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადა, ასევე მოსარჩელეთა წრე განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 77-ე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად ამ კანონის 78-ე მუხლით გათვალისწინებულ საარჩევნო დავებზე ამავე მუხლით განსაზღვრული პირების გარდა სხვა პირთა მიერ საარჩევნო კომისიაში შეტანილი განცხადება/საჩივარი განუხილველი რჩება. ამავე კოდექსის მე-8 მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, საარჩევნო კომისია უფლებამოსილია არ განიხილოს განცხადება/საჩივარი, თუ დარღვეულია მისი შეტანის ვადა და წესი.

შესაბამისად, მოქალაქეები - ნანა კაკიტაძე და ნინო კაკიტაძე წარმოადგენენ არაუფლებამოსილ პირებს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა არჩევის შესახებ №3 საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების ნაწილში, რაც შესაბამისად, მითითებული საჩივრების განუხილველად დატოვების საფუძველია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-8 მუხლის მე-13 პუნქტის, მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტისა და 77-ე მუხლის მე-4, მე-11 და მე-12 პუნქტების საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. განუხილველი დარჩეს მოქალაქეების - ნანა კაკიტაძისა და ნინო კაკიტაძის 2016 წლის 28 ოქტომბრის საჩივრები (ცესკოში რეგისტრაციის №6663 და №6664) არაუფლებამოსილი პირების მიერ მათი გასაჩივრების გამო.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

(თან ერთვის)

3. სხვადასხვა

განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე

თამარ ჟვანია

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი